



თვითმმართველი თემი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 90

„08“ სექტემბერი 2015 წელი

თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის სიმბოლოების (გერბი და დროშა) შემუშავებელი დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ

თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 34-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად,

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შეიქმნას თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის სიმბოლოების შემუშავებელი დროებითი სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

დროებითი სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე

ნანა ხვისტანი - თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე  
დროებითი სამუშაო ჯგუფის წევრები:

1. პაატა გიორგობიანი - საკრებულოს თავმჯდომარე;

2. ზურაბ ლილუაშვილი - საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე;

3. გიგა მამუკელაშვილი - საკრებულოს სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულს საქმეთა კომისიის თავმჯდომარე;
4. ვასილ არაბული - საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.

2. დროებითა სამუშაო ჯგუფმა თავისი შემადგენლობით უზრუნველყოს:

- ა) თელავის მუნიციპალიტეტის სიმბოლოების ესკიზების შესარჩევი კონკურსის წესის შემუშავება;
- ბ) დროებით სამუშაო ჯგუფში შესაბამისი პროფილის სპეციალისტების მოწვევა;
- გ) საქართველოს პარლამენტთან არსებული ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოსთან წინასწარი კონსულტაციების გავლა;
- დ) განიხილოს საკონკურსო მასალები და გამარჯვებული ესკიზები წარუდგინოს თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დასამტკიცებლად;

3. სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილების ვადად განისაზღვროს სამი თვე;

4. ეს განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე;

5. ამ განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ.თელავი, დ.აღმაშენებლის გამზ. №41) მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

საკრებულოს თავმჯდომარე  კაკა გიორგობიანი

